



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები	3
2. სამსახურის მიზნები	3
3. სამსახურის ფუნქციები.....	3
4. სამსახურის სტრუქტურა.....	3
5. სამსახურის ხელმძღვანელი	4
6. დაცვის თანამშრომელი	5
7. დასკვნითი დებულებები	6

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში – „სამსახური“) უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- 1.2. სამსახური უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია.
- 1.3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და პირველი ვიცე-პრეზიდენტის აქტებით.
- 1.4. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

2. სამსახურის მიზნები

- 1.5. დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების, მატერიალური ფასეულობების დაცულობისა და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოების, წესრიგის უზრუნველყოფა.

3. სამსახურის ფუნქციები

დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებია:

- 1.6. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების, მათში განთავსებული სასწავლო, არასასწავლო ინვენტარის და მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- 1.7. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თანამშრომლების, სტუდენტებისა და გარეშე პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- 1.8. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგის, დაცვა მათ შორის, სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის მიზნით;
- 1.9. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- 1.10. სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის დებულებითა და შიდა აქტებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

4. სამსახურის სტრუქტურა

- 1.11. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელის - უფროსის და დაცვის თანამშრომლებისაგან;
- 1.12. სამსახურის ხელმძღვანელს და დაცვის თანამშრომელს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით.

5. სამსახურის ხელმძღვანელი

- 1.13. დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას. იგი პასუხისმგებელია სამსახურის ფუნქციების სრულ და ჯეროვან განხორციელებაზე.
- 1.14. დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:
- 1.14.1. ადგენს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის დაცვის გეგმას და დაცვის თანამშრომელთა სამოქმედო ინსტრუქციას;
 - 1.14.2. უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების გეგმების შედგენას.
 - 1.14.3. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების მიზნით თანამშრომლობს შესაბამის დაწესებულებებთან;
 - 1.14.4. ზედამხედველობს დაცვის ტექნიკური საშუალებების სწორ ექსპლუატაციას;
 - 1.14.5. უზრუნველყოფს და ზედამხედველობს დაცვის თანამშრომელთა მიერ ცვლის გადაბარების პროცესს და ახორციელებს სამუშაო დღის დასრულების შეჯამებას;
 - 1.14.6. ახორციელებს კონტროლს სამსახურში დაცვის თანამშრომელთა დროულად გამოცხადებაზე და მათ მიერ შემოვლა/შემოწმების განხორციელებაზე;
 - 1.14.7. უნივერსიტეტის პრეზიდენტთან და პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამსახურის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან;
 - 1.14.8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს სამსახურებრივ მოკვლევას;
 - 1.14.9. აძლევს დავალებასა და მითითებებს სამსახურის თანამშრომელს/თანამშრომლებს, საჭიროების შემთხვევაში ანაწილებს მოვალეობებს მათ შორის;
 - 1.14.10. ახორციელებს კონტროლს სამსახურის თანამშრომლის/თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებასა და დისციპლინის დაცვაზე;
 - 1.14.11. ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე პასუხისმგებელია მათი შესრულების ხარისხსა და სისწორეზე;
 - 1.14.12. ამზადებს პასუხს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციაზე;
 - 1.14.13. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამსახურში დასანიშნი პირების კანდიდატურის განხილვაში;
 - 1.14.14. შუამდგომლობს უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინაშე სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;
 - 1.14.15. კოორდინაციას უწევს სამსახურის ურთიერთობას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
 - 1.14.16. წარუდგენს უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

- 1.14.17. უნივერსიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ.
- 1.14.18. კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებს უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და პირველი ვიცე-პრეზიდენტის დავალებებს.
- 1.15. სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და მოვალეობის შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.

6. დაცვის თანამშრომელი

- 1.16. დაცვის თანამშრომლის ფუნქციებია:
 - 1.16.1. სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემისა და განრიგის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების მონიტორინგი;
 - 1.16.2. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან მის გარეთ უნივერსიტეტის ეგიდით წარმოებულ ღონისძიებებზე (ადგილზე პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით);
 - 1.16.3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საფრთხის არსებობის ან/და განგაშის გამოცხადების შემთხვევაში მყისიერი დახმარების აღმოჩენა უნივერსიტეტის თანამშრომლების, სტუდენტებისა და გარეშე პირებისათვის;
 - 1.16.4. დაცვის ტექნიკურ სისტემებზე ზედამხედველობა და მეთვალყურეობა;
 - 1.16.5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება და შინაგანაწესის დარღვევის, ან/და სხვა პრობლემატური შემთხვევების გამოვლენისას მისი ხელმძღვანელის დაუყოვნებლივი ინფორმირება, მიღებული მითითებების შესრულება;
 - 1.16.6. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან ასეთი ქმედების განხორციელების საფრთხის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების და სამსახურის ხელმძღვანელის მყისიერი ინფორმირება;
 - 1.16.7. მოითხოვოს და ზედამხედველობა გაუწიოს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას;
 - 1.16.8. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, კერძოდ, სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართული მდგომარეობის მეთვალყურეობა;
 - 1.16.9. უნივერსიტეტის ტერიტორიის გარე და შიდა განათების კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება;
 - 1.16.10. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელის დავალებით, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში განლაგებული ოთახების, საცავების და ა.შ. დალუქვა;
 - 1.16.11. უნივერსიტეტის თანამშრომელთა, სტუდენტთა და გარეშე პირთა მიერ შინაგანაწესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების გამოვლენა-აღკვეთა და სამსახურის

ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის სწორად და სრულყოფილად მიწოდება;

- 1.16.12. უნივერსიტეტში შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის შესაბამისად აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის, კორპუსში ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები და სხვა;
- 1.16.13. არ დაუშვას უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ნივთებისა და ინვენტარის გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე;
- 1.16.14. სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უკანონოდ შეღწეული პირის დასაკავებლად;
- 1.16.15. სახანძრო უსაფრთხოების კუთხით საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება;
- 1.16.16. სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე, ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებსა და მითითებებს.
- 1.17. თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულებით შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნას წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ფუნქციებისგან განსხვავებული ან დამატებითი ფუნქციები და ვალდებულებები.
- 1.18. დაცვის თანამშრომელი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

7. დასკვნითი დებულებები

- 1.19. სამსახურის დებულების დამტკიცება, ასევე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.